იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

საბჭოჭლის სკა


უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-9 წელი

№ 15 (133)

ოქტომბერი,

1965 წელი



განთიადი

აკაკი წერეთელი

მთაწმინდა ჩაფიქრებულა,
შეჰყურებს ცისკრის ვარსკვლავსა,
მნათობი სხივებს მაღლით ჰფენს
თავდადებულის საფლავსა.

დადუმებულა მთაწმინდა,
ისმენს დუდუნსა მტკვრისასა
მდინარე ნანას უმღერის
რაინდსა, ურჩსა მტრისასა...

მთაწმინდა გულში იხუტებს
საშვილიშვილო სამარეს,
მამადავითსა ავედრებს,
აბარებს ქვეყნის მოყვარეს...

მგოსანი გრძნობამორევით
თვალს ავლებს არემარესა
და გულის-ჰასუხს ნარნარად
უმღერის ტურფა მხარესა:

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
სნეული დავბრუნებულვარ,
მკურნალად შემეყარეო!..

„ვერ ავიტანე ობლობა,
სისხლის ცრემლები ვღვარეო;
წამძლია სულმა და გულმა.
შენს ნახვას დავეჩქარეო.

„წინ მომეგებნენ ღიმილით
შენი მზე, შენი მთვარეო,
გუნდი და გუნდი ვარსკვლავი
მოკაშკაშ-მოელვარეო.

„გულში იფეთქა სიამემ,
სევდები უკუვყარეო,
ია და ვარდი დამჭკნარი
ხელახლა გამიხარეო!..

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
სულის ჩამდგმელო მხარეო,
შენი ვარ, შენთვის მოვკვდები,
შენზედვე მგლოვიარეო!..

„ნურც მკვდარს გამწირავ, ნურც ცოცხალს,
ზე-კალთა დამაფარეო...
და, რომ მოვკვდები, გახსოვდეს,
ანდერძი დავიბარეო:

„დედა-შვილობამ, ბევრს არ გთხოვ:
შენს მიწას მიმაბარეო,
„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო!“

1892 წელი.

ამბები დედა-საქართველოდან

ქართული ხილი



საქართველოს შავი ზღვისპირეთის ციტრუსების ბაღებში მწიფდება მანდარინის, ლიმონის, ფორთოხლის უხვი მოსავალი. განსაკუთრებით კარგია მანდარინის მოსავალი, ზოგიერთ ხეს რამდენიმე ათასი მსხვილი ნაყოფი ასხია.

მალე დაიწყება მანდარინის შერჩევითი კრეფა.

წელს გეგმით 20 ათასი ტონა ციტრუსები უნდა დამზადდეს, მაგრამ მოსავალს ისეთი პირი უჩანს, რომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, აგრეთვე საკარმიდამო ნაკვეთებზე ბევრად მეტ ციტრუსს მოიწევენ. მანდარინის კარგ მოსავალს მოიწევენ მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობა, სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა, ქობულეთის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა, მახინჯაურისა და კობორას საბჭოთა მეურნეობანი, აჭარის, აფხაზეთისა და დასავლეთ საქართველოს ბევრი რაიონის მეურნეობანი.

არახელსაყრელმა კლიმატურმა პირობებმა ხელი ვერ შეუშალა ციტრუსების კარგი მოსავლის მოწევას. ეს მეციტრუსეების შეუპოვარი შრომის შედეგია, რომლებიც თვითეულ ხეს მზრუნველად უვლიდნენ. მეურნეობებში გამოიყენეს აგროტექნიკური ღონისძიებათა კომპლექსი.

ბაღების მოვლის კარგი გამოცდილება შეიძინეს ქობულეთის რაიონის სოფელ ქვედა ულიანოვკის კალინინის სახელობის არტელის კოლმეურნეებმა, რომლებიც წლითიწლობით ზრდიან ციტრუსის მთლიან გამოსავლიანობას. ისინი სერიოზულ ყურადღებას უთმობენ ხეების სწორ კვებას, რაც უხვი და მყარი მოსავლის უზრუნველყოფის გადამწყვეტი პირობაა. თვითეულ ხეს მისი მდგომარეობისა და ასაკის მიხედვით, გარკვეული დოზით აწვდიან ნაკელს, სუპერფოსფატს, კალიუმის მარილს, აზოტს. ციტრუსის ბაღები აქ გაშენებულია მყავე ნიადაგებზე. ამიტომ კოლმეურნეობას პერიოდულად შეაქვს კირიანი სასუქები. ეს არა მარტო ზრდის მოსავალს, არამედ მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ნაყოფის ხარისხს. წარმატებით იყენებენ ბაღების ტორფით დამულჩვასაც, რაც ხელს უწყობს ნიადაგში ტენის შენარჩუნებას, თავიდან გვაცილებს ნასკვის ჩამოცვენას.

გორული ხილი — ვაშლი, ატამი, მსხალი და სხვა განთქმულია არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

სურათზე: ხილის კრეფა გორის რაიონის ქიწნისის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის ბაღებში.

ელექტრონული „ტვინი“

თბილისის ხელსაწყოებისა და ავტომატიზაციის საშუალებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თანამშრომლებმა შექმნეს სპეციალიზებული ელექტრონულ-საანგარიშო მანქანები თბოელექტროსადგურის რთული აგრეგატების მუშაობის ავტომატური რეგულირებისათვის. გამოთვლითმა ტექნიკამ ინჟინერ-ელექტრიკოსები გათავისუფლა მათემატიკური გაანგარიშებისაგან, რაც საჭირო იყო გამომუშავების ყველაზე რაციონალური რეჟიმების გამოსავლინებლად და ორთქლის გამოსაყენებლად როგორც ელექტროენერგიისა და სითბოს მოსაღებად ცენტრალური გასათბობი სისტემებისათვის, ისე თვით სადგურის საჭიროებებისთვისაც.

წინათ სპეციალისტებს, რომლებიც რთულ ენერგეტიკულ დანადგარებს ემსახურებოდნენ, არ შეეძლოთ სწრაფად მიეღოთ საჭირო ღონისძიებანი იმისათვის, რომ რაც შეიძლება მიზანშეწონილად გაეწაწილებინათ ორთქლის ენერგია ტურბოგენერატორებში. ამისათვის მათ უნდა განეხორციელებინათ რთული მათემატიკური გაანგარიშებანი, რომლებშიც უნდა გაეთვალისწინებინათ უამრავი ხელსაწყოს მაჩვენებლები, რომლებიც აღნიშნავდნენ სათბობის ხარჯვას წყლის გათბობაზე, ქვაბებში ორთქლის წნევასა და ტემპერატურას.

ახლა ელექტრონულ-საანგარიშო მანქანები განსაკუთრებული გადამწოდების მეოხებით იღებენ და მაშინვე ამუშავებენ ყოველგვარ ინფორმაციას ელექტროსადგურის აგრეგატების მუშაობის შესახებ. ისინი საჭირო გამოანგარიშებას ახორციელებენ და ზუსტად ეუბნებიან სპეციალისტებს, თუ როგორ გაანაწილონ რაც შეიძლება ეფექტიანად ორთქლის ენერგია სადგურის ტურბოგენერატორებს შორის. ელექტრონული „ტვინის“ რეკომენდაციებს იყენებენ ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ თბოელექტროსადგურებში.

გამოთვლითი ტექნიკის საშუალებათა დანერგვა ყველა თბოელექტროსადგურში საშუალებას მოგვცემს უფრო მწარმოებლურად გამოვიყენოთ მოწყობილობა და დავზოგოთ დიდძალი დეფიციტური სათბობი.

აი რას გვაძლევს სამგორის ველი

თბილისს მწვანე სარტყელად აკვრია ბაღები. საიდანაც უნდა შემოდიოდეთ ქალაქში, ყველგან შეხვდებით ხეხილის, ვაზების სწორ მწკრივებს. მტკვრის ნაპირების გასწვრივ გადაჭიმულა ბოსტნები.

ოციოდე წლის წინათ იქ, სადაც ახლა დიდი საგარეუბნო მეურნეობებია, მზით გადაბუტული ველი იყო. მაგრამ სარწყავი არხებით მოვიდა ცხოველმყოფელი წყალი და სამგორის ველი აყვავდა. ახლა აქედან თბილისი და რუსთავი უამრავ ხილს, ყურძენს, ბოსტნეულს, რძესა და ხორცს იღებენ.

წელს რესპუბლიკაში 100 ათასი ტონა ბოსტნეული უნდა დამზადდეს — 30 ათასი ტონით მეტი, ვიდრე შარშან. მთელი ამ რაოდენობის მეხუთედი სახელმწიფოს უნდა მიაყიდონ გარდაბნის რაიონის საბჭოთა მეურნეობებმა, რომელთაგან ბევრი სამგორის ველზეა. უკვე გადაჭარბებით შეასრულეს ბოსტნეულის ჩაბარების წლიური დავალება რუისპოლოს, გარდაბნისა და სამგორის საბჭოთა მეურნეობებმა. ბოსტნეულის მოსავლმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადაჭარბებით სახელმწიფოს მიჰყიდონ სულ ცოტა 5 ათასი ტონა პამიდორი, ბადრიჯანი, სტაფილო, კომბოსტო, ხაჭვი და სხვა ბოსტნეული.

საგარეუბნო საბჭოთა მეურნეობები თბილისსა და რუსთავში ათასობით ლიტრ რძეს გზავნიან. მარტო სართიჭალის მეძროხეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა ყოველდღიურად 8 ათას ლიტრ რძეს იძლევა. წელს სამგორის საჯიშე მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა დაახლოებით მილიონ კილოგრამ ხორცს, ძირითადად ძროხის ხორცს დაამზადებს. იმისათვის, რომ მშრომელებს მეტი რძე მიაწოდონ, საბჭოთა მეურნეობებში ხშირად ხელოვნური ძროხით კვებავენ. ეს ყოველდღიურად 20 ათას ლიტრ მოუხდელ რძეს ზოგავს.

ახლა სამგორის ველზე გახურებული ალოობაა. მასობრივად კრეფენ ყურძენსა და ხილს. ხილის მოსავალი, ისევე როგორც ბოსტნეულისა, შესანიშნავია.

სამგორის ველი მოსახლეობისათვის მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების დიდი მიმწოდებელი გახდა.

ამოკლედ

საზოგადოება „ცოდნის“ დუშეთის განყოფილებამ შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის აღსანიშნავად მოაწყო ლიტერატურული საღამო. შოთა რუსთაველის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ლექცია წაიკითხა დ. ქორიძემ. საღამოზე ლექსები წაიკითხეს პოეტებმა ვ. გორგანელმა და ლ. სულაბერიძემ.

ახალქალაქში ამუშავდა ახალი ლუდის ქარხანა. ქარხანა თავის პროდუქციას მიაწვდის მეზობელ რაიონებს.

გორის რაიონის სოფელ სკრაში აშენდა სკოლა, რომელიც 240 ბავშვისათვის არის განკუთვნილი. სკოლას აქვს ფიზკულტურის დარბაზი და სხვა კაბინეტ-ლაბორატორიები.

ჭიათურიდან სამი კილომეტრის დაშორებით სოფელ ნავარძეთში საქართველოს ისტორიის მუზეუმის ექსპედიციამ აღმოაჩინა უძველესი გამოქვაბული, სადაც ნახეს სადნობი ღუმელის ნაშთები, რკინისა და წიდის ნატეხები.

ჯავისა და ლენინგორის რაიონებში გაიხსნა ახალი მუსიკალური სკოლები. ამ სკოლებში მიღებულია 50 ბავშვი. მალე გაიხსნება მუსიკალური სკოლა დაბა კვაისში.



სურათზე: რუსთაველი მეფოლადე ილარიონ ტაბატაძე.



აკაკი წერეთელი

ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო!

აკაკი წერეთელი

გაზაფხული

დღეს მერცხალი შემოფრინდა,
ჭიკჭიკითა გადმომძახა:
„გაზაფხული! გაზაფხული!“
გულს იმედი დამესახა.

მივდექ სარკმელს, გადვიხედე,
არემარე მესხვაფერა!
სასოებამ ფრთა გაშალა,
გულსა მკრა და ამიძგერა!

სუნი მეცა გაზაფხულის,
უცნაური ვიგრძენ ძალი...
ვსთქვი თუ: „გულსა რაღად ვიტეხ?
ახლოს არის მომავალი!

„მოვესწრები, რაც მინდოდა
ზამთრისაგან დაჩაგრულსა:
ენახავ ქორწილს ბუნებისას,
გავიგონებ მის მაყრულსა.

„დავყნოს ვარდსა გადაშლილსა,
ვიშვერეტ ნაზად დახრილ ია
და ბულბულიც გამაგონებს
მისებურად: „ტია, ტია!“

1881 წელი.

ზღვაო.

აღელდი, აღელდი!

ზღვაო, აღელდი, აღელდი,
ქარტეხილს დაემორჩილე!
აამთაგორე ტალღები,
კიდეებს გადააცილე!

მარგალიტების სალარო
შენი უფსკრული გულია,
მყუდროების დროს იგი განძი
ქვეყნისთვის დაფარულია.

მხოლოდ როდესაც მრისხანებ,
გულს უხსნი მზეს და მთვარესა,
იმ მარგალიტებს შესტყორცნი
შენ შემკვრელს არემარესა.

პოეტო! ნურც შენ ეკრძალვი
მრისხანე გულის ღელვასა!...
ძილის დროს ჭუხილს ნუ მოშლი
და სიბნელის დროს ელვასა!

1894 წელი.

სევდიკო

საყვარლის საფლავს ვეძებდი,
ვერ ვნახე!.. დაკარგულიყო!
გულამოსკვნილი ვჩიოდი
„სადა ხარ, ჩემო სულიკო“

ეკალში ვარდი შევნიშნე
ობლად რომ ამოსულიყო,
გულისფანცქალით ვკითხავდი:
„შენ ხომ არა ხარ სულიკო?

ნიშნად თანხმობის კოკობი
შეირხა... თავი დახარა,
ცვარ-მარგალიტი ციური
დაბლა ცრემლებად დაჰყარა.

სულგანაბული ბულბული
ფოთლებში მიმალულიყო,
მივეხმატკბილე ჩიტუნას:
„შენ ხომ არა ხარ სულიკო?!“

შეიფრთქიალა მგოსანმა,
ყვავილს ნისკარტი შეახო,
ჩაიკვნეს-ჩაიჭიკჭიკა,
თითქოს სთქვა: „დიახ, დიახო!“

დაგვქათქათებდა ვარსკვლავი,
სხივები გადმოსულიყო,
მას შევეკითხე შეფრქვევით:
„შენ ხომ არა ხარ სულიკო?!“

დასტური მომცა ციმციმით,
სხივები გადმომაყარა
და იმ დროს ყურში ჩურჩულით
ნიავმაც ასე მახარა:

„ეგ არის, რასაც ეძებდი,
მორჩი და მოისვენეო!
დღე დაიღამე აწ ტკბილად
და ღამე გაითენეო!

„სამად დაშლილა ის ერთი:
ვარსკვლავად, ბულბულ, ვარდადო.
თქვენ ერთმანეთი რადგანაც
ამ ქვეყნად შეგიყვარდათო“.

მენიშნა!., აღარ დავეძებ
საყვარლის კუბო-სამარეს,
აღარც შევჩივი ქვეყანას,
აღარ ვლვრი ცრემლებს მდუღარეს!...

ბულბულს ყურს ვუგდებ, ვარდს ვუნოსავ,
ვარსკვლავს შევყურებ ლმენითა
და, რასაცა ვგრძნობ მე იმ დროს,
ვერ გამომითქვამს ენითა!

ისევ გამეხსნა სიცოცხლე,
დღემდე რომ მწარედ კრულ იყო,
ახლა კი ვიცი, სადაც ხარ:
სამგან გაქვს ბინა, სულიკო!..

1895 წელი.

ჭაღარა

ის აღარა ვარ, რაც ვიყავ,
ძნელი ყოფილა ჭაღარა...
ვეღარ გაჰკივის თამამად
ჩემი დაფი და ნაღარა.

გული არ იშლის გულობას,
მაგრამ ვერ მოსდევს ძალ-ღონე!..
ვარ ბევრი „ვაის“ მნახველი
და ბევრი „უის“ გამგონე.

ამევსო გული წვეთ-წვეთად
ნაღველითა და შხამითა,
ისე, ვით საუკუნენი —
სხვადასხვა მრავალ წამითა.

მაშ რაღად მინდა სიცოცხლე
მე, აწმყო-გამწარებულსა,
თუ, ვისაც ვეტრფი, ვინც მიყვარს,
ვხედავ მას აოხრებულსა?

მაგრამ იმედი, ცის ნიჭი,
რომ გამიელვებს გლახ-გულსა,
თავი ტარიელ მგონია,
ოცნებით გარემოცულსა.

ვუხმობ ფრიდონს და ავთანდილს,
მხარი-მხარს მივსცეთ, ხელი-ხელს
ნესტან-დარეჯან ქაჯებს ჰყავს,
მოელის ტურფა გამომხსნელს.

რა ვუყოთ, თეთრი მერიოს?!
სისხლით შევღებავ ჭაღარას
და სულ სხვა ხმაზე დავუკრავ
ამ ჩემ დაფსა და ნაღარას.

მაგრამ, ვაიმე, რომ ეჭვი
მოუგზავნია ჯოჯოხეთს:
მაცდურ სარკეში მახედებს,
ოცნებას მიკლავს,... გულს მიხეთქს!

ამბობს: „ფრიდონ და ავთანდილ
ჯერ ვერ გადიხდის ომსაო!
და შენც ტარიელს მოჰგავხარ
ისე, ვით კატა ლომსაო“.

მართალი არის, მაგრამ რა?
რისთვის დავჰკარგო იმედი?
გმირს წინა უძღვის ყოველთვის
უძლური წინამორბედი!..

არა! აყვავდეს იმედი!..
გულს ვერ გამიტეხს ჭაღარა!..
გმირებს უძახის... უყივის
ჩემი დაფი და ნაღარა!..

1886 წელი.

სიზმარი

ერთხელ მხოლოდ, ისიც ძილში.
ქართველ ქალთა ვნახე კრება!
გეფიცებით, მისი ნახვა
ახლაც ისევ მენატრება!

ტახტზე იჯდა თამარ მეფე,
მომხიბლავი, ეშხიანი!
მარცხნით უდგა თინათინი,
მარჯვნით — ნესტან-დარეჯანი.

გარს ეხვივნენ სხვა ქალებიც,
როგორც მთვარეს ვარსკვლავთ კრება,
ცალ-ცალკე და ყველა ერთად
სიცოცხლე და ნეტარება!

შემოვიდა რუსთაველი,
ის სულმნათი და მგოსანი,
ხელში ეპყრა მოწიწებით
მისი „ვეფხის-ტყაოსანი“.

თაყვანი სცა სწორუპოვარს,
მის წინ მუხლი მოიყარა...
გაიღიმა ტახტზე მჯდომმა
და ცრემლები გადმოჰღვარა!..

მზის ჭიატის დარი იყო
უცნაური ის ღიმილი,
და თვით გრძნობის ორჭოფობაც
ცრემლში იყო ჩალესილი:

მასაც მგოსნის თანაგრძნობა
გულში ედვა, როგორც ქალსა,
მაგრამ უნდა დაეჭირა
თავი, როგორც დედოფალსა!

ბრძანა: „გმადლობთ, ვერ გადვიხდი,
როგორც მეფე, დღეს შენს ვალსა, —
უკვდავების მოსახვეჭად
მიგაპირებ მომავალსა!..“

მიუბრუნდა მყრე იქ მდგომ
ნესტანსა და თინათინსა:
„თქვენ გილოცავთ ამ ქვეყნიურ
სიყვარულს და შვება-ლხინსა!

„გაახდერძებთ საქმროდ ყველას
ტარიელს და ავთანდილსა,
რომ ქართველი ქართველ გმირად
გამოზრდიდეს შვილიშვილსა!“

ეს რომ ბრძანა, ნათლის სვეტად
გადმოეშვა ცისარტყელა...
აიტაცა შუქმა შუქი
და მას გაჰყვა თანვე ყველა.

გული დამწყდა! გამეღვიძა,
ნაღვლიანად გამეცინა!
ვთქვი: „ნეტავი არ მენახა,
საუკუნოდ დამეძინა!“

1898 წელი.

მსოფლიოს დიდ გზებზე

ქართველი მეცნიერები — საერთაშორისო კონგრესებზე

ჩვენი ქვეყნის 15 მეცნიერმა ანატომმა სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა წევრ კორესპონდენტის დიმიტრი ჭდანოვის მეთაურობით მონაწილეობა მიიღო ანატომთა VIII საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში. ამ კონგრესმა, რომელიც ვისბადენში (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) მიმდინარეობდა, ამას წინათ დაამთავრა მუშაობა. საბჭოთა მეცნიერებს შორის იყვნენ ჩვენი თანამემამულენიც — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. ნათიშვილის სახელობის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ნინო ჯავახიშვილი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის გამგე, პროფესორი მამია კომახიძე, და ექსპერიმენტული ანატომიის განყოფილების გამგე, პროფესორი თეიმურაზ ღიბრაძე.

ქართველმა მეცნიერებმა კონგრესზე წაიკითხეს ორი მოხსენება „სისხლძარღვების ალოპლასტიკური პროცესების ვასკულარიზაცია“ (ნ. ჯავახიშვილი და ი. კომახიძე) და „ფილტვის ჩამკეტი არტერიები“ (თ. ღიბრაძე). მოხსენებებმა შეკრებილთა დიდი ინტერესი და დისკუსია გამოიწვიეს.

* * *

ამას წინათ ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიმართა მეოთხეული პერიოდის შესწავლის VII საერთაშორისო კონგრესი. კონგრესში მონაწილეობა მიიღო 45 სახელმწიფოს ცხრაასამდე გეოგრაფმა და გეოლოგმა. საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობაში იყო ჩვენი რესპუბლიკის წამომადგენელი — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე დ. წერეთელი.

— მეოთხეული პერიოდი, — თქვა გაზეთ „სამშობლოს ხმის“ კორესპონდენტთან საუბარში დ. წერეთელმა, — დედამიწის ისტორიის უახლოესი მონაკვეთია, რომელიც დაახლოებით ერთ მილიონ წელს მოიცავს. ამ პერიოდში გამოჩნდა ჩვენს პლანეტაზე პირველყოფილი ადამიანი.

კონგრესის მონაწილეებმა განიხილეს ბარიასა და მთის ქვეყნების გამყინვარების, ლიოსური დანალექების სტრატიგრაფიის, მეოთხეული პერიოდის ნამარხი ფაუნის და პალეოგრაფიის, აბსოლუტური ასაკის განსაზღვრის და სხვა საკითხები.

მეოთხეული პერიოდის შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მეცნიერებისა და მეურნეობისათვის. იგი აღრმავებს ჩვენს ცოდნას ანთროპოლოგიის, ისტორიის დარგში, ადამიანის წარმოშობისა და ევოლუციის დარგში. წარსულის პალეოგრაფიული პირობების გამკვლევა საშუალებას გვაძლევს გავერკვეთ თანამედროვე ცხოველური და მცენარეული სამყაროს წარმოშობაში, დავადგინოთ სხვადასხვა კლიმატურ ცვლილებათა კანონზომიერება.

შორეული წარსულის შესწავლა გვეხმარება შევჯრიბოთ საჭირო მონაცემები რკინიგზებისა და გზატკეცილების გაყვანისას, ჰიდროტექნიკური ნაგებობების, საირიგაციო არხების აშენებისას, საშენი მასალების (თიხის, ქვიშისა და სხვ.) ძებნისა და მოპოვების, იშვიათი ლითონების საბადოების დაზვერვის დროს.

შემთხვევით როდი შეიქმნა სპეციალური საერთაშორისო კომისია მეოთხეული პერიოდის შესასწავლად. სხვათა შორის, კონგრესზე აირჩიეს კომისიის ახალი შემადგენლობა, რომელშიც საბჭოთა მეცნიერების დიდი ჯგუფიც შევიდა.

ამერიკელი მეცნიერები უდიდეს ინტერესს იჩენენ საბჭოთა გეოლოგებისა და გეოგრაფების ნაშრომებისადმი. კონგრესზე აზრთა გაზიარება, მეცნიერული კამათი უაღრესად მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოფნის დროს დავათვალიერეთ ეს ქვეყანა, გავეცანით მეოთხეულის დანალექების დამახასიათებელ გეოლოგიურ ჭრილებს, ვიყვით სამეცნიერო ლაბორატორიებში.

მეოთხეული პერიოდის შესწავლის VIII საერთაშორისო კონგრესი პარიზში გაიმართება 1969 წელს.

* * *

პლაზმა გავარვარებული ნივთიერებაა. მისგან შედგება ვარსკვლავები და მზე, რომელიც პლაზმის მეოხებით დედამიწას აფრქვევს სითბოსა და სინათლის ნაკადს. მრავალ მილიონ გრადუსამდე გახურებულ და მიზიდულობის ძალებით შეკუმშულ პლაზმაში წარმოიქმნებს მსუბუქი ელემენტების ბირთვების შეერთება, რომლის დროსაც გამოიყოფა უმაგალითო ოდენობის ენერგია. მეცნიერთა მიზანია შექმნან ხელოვნური ვარსკვლავები და მზეები, რომლებიც დაემორჩილებიან ადამიანს.

პლაზმის ფიზიკის შესახებ ცოდნის შეძენის კვალობაზე შეიქმნა იმის შესაძლებლობა, რომ ფართოდ გამოვიყენოთ იგი მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგში.

პლაზმის ფიზიკის პრობლემებს მიეძღვნა VII საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც გაიმართა იუგოსლავიაში. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს მსოფლიოს 26 ქვეყნის მეცნიერებმა და სპეციალისტებმა. საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ აგრეთვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის წარმომადგენლები — მაღალ ტემპერატურათა ფიზიკის განყოფილების გამგე ნოდარ ცინცაძე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატები ჯუმბერ ლომინაძე, ავთანდილ პატარაია და ციალა ლოლაძე.

ხუთი ათასზე მეტი მეცნიერი შეიკრიბა ბელგრადში. კონფერენციის მონაწილეებმა მოისმინეს 600-ზე მეტი მოხსენება.

პლაზმაში ელექტროგამტარობისა და თბოგამტარობის, დარტყმითი ტალღების, პლაზმასთან სხვადასხვა ტიპის ტალღების ურთიერთმოქმედების საკითხებსა და სხვა პრობლემებს მიეძღვნა ქართველ ფიზიკოსთა მოხსენებანი. მათი კვლევის შედეგებმა სპეციალისტთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

კონფერენციის დამთავრების შემდეგ ჯუმბერ ლომინაძე და ნოდარ ცინცაძე გაემგზავრნენ ინგლისში, სადაც მონაწილეობა მიიღეს პლაზმის ფიზიკისა და კონტროლირებული ბირთვული სინთეზის სპეციალისტთა ფორუმში, რომელსაც ოთხ წელიწადში ერთხელ იწვევს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო.

ქართველი მეცნიერები ეწევიან ბირთვული სინთეზის უდიდეს სამეცნიერო-საკვლევ ცენტრს — კალემის ლაბორატორიას ოქსფორდის მახლობლად. ცინცაძემ, რომელიც სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დელეგატი იყო, წაიკითხა მოხსენება ტურბულენტურ პლაზმაში ზოგიერთი ფიზიკური მოვლენის შესახებ.

ახალი ჰიათურა

ქართული მარგანეცის ქალაქ ჰიათურაში გაგვაცა ცვლილებებმა, რომლებიც ამ ბოლო წლების მანძილზე მომხდარა. უკვე ვაგონის სარკმლიდან მოჩანს ახალი კუბები, იარუსებად რომ გასდევენ მთებს. ყველგან ჩანს ამწეები, მშენებარე შენობების კედლები, ქალაქის თავზე გადაჭიმულა საჰაერო, საბაგირო გზების ქსელი. იქ, სადაც ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ იდგა ხის პატარა სახლები, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები, სკოლები და მაღაზიები აუშენებიათ.

ჰიათურელები სიამაყით უჩვენებენ სტუმრებს თავიანთი ქალაქის ღირსშესანიშნაობებს. ჩვენ ვნახეთ ადგილობრივი ფეხბურთელებისა და ქალაქ მახარაძის გუნდის მატჩი ახალ სტადიონზე. ეს დიდებული ნაგებობა, რომლის ტრიბუნები ათი ათას მაყურებელს იტევენ, ახალგაზრდა ენთუზიასტ მაღაროელთა ხელით არის აშენებული.

მატჩის შემდეგ ბევრი გულშემატკივარი კულტურის სასახლისაკენ გაეშურა. ამ სასახლის მშენებლობისას არქიტექტორებმა კარგად გამოიყენეს ეროვნული კოლორიტი და თანამედროვე სტილი. კულტურის სასახლეში არის მაყურებელთა და სალექციო დარბაზები, ბიბლიოთეკა, ოთახები თვითმოქმედი წრეების მეცადინეობისათვის.

ჰიათურას საშართლიანად უწოდებენ სტუდენტთა ქალაქს. აქ დაუსწრებლად სწავლობს ყოველი მეოთხე მაღაროელი. და მოსწავლე ახალგაზრდობის რიცხვი წლითიწლობით იზრდება. ამას წინათ აქ მწყობრში ჩადგა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფილიალის შენობა. იგი აღჭურვილია სასწავლო კაბინეტებითა და ლაბორატორიებით. სტუდენტებისათვის კონსულტაციებს მართავენ ადგილობრივი სპეციალისტები, თბილისის უმაღლეს სასწავლებელთა პროფესორები და მასწავლებლები.

ძნელია ჩამოთვალო ყოველივე, რაც ჰიათურაში აშენდა შვიდწლედის მანძილზე. ექვსი წლის განმავლობაში აქ აშენდა ათი ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი საცხოვრებელი სახლები, ხუთი სკოლა, საბავშვო ბაღები და ბაგები, მაღაზიები.

მიმდინარეობს ძველი ქუჩების რეკონსტრუქცია. ლენინის პროსპექტის არქიტექტურულ ანსამბლს მალე შეეწყობა პოინერთა სასახლე, უნივერმაღი, საშუალო სკოლა, საავადმყოფო, რომელთა მშენებლობა უკვე დაიწყო.

მდინარე ყვირილაზე, ორ ნაწილად რომ ჰყოფს ქალაქს, აშენდა ხიდი-კაშხალი, რომლებმაც ექვსი მეტრით გაზარდა მდინარის დონე. ახალგაზრდობას საშუალება მიეცა განავითაროს წყალსპორტი.

და, რა თქმა უნდა, ჰიათურაში მთელი ძალით მიმდინარეობს სამრეწველო მშენებლობა. დარკვეთი, მღვიმევი-ხრამი, მერევი — ეს იმ მაღაროთა სახელწოდებანია, რომელთა დამუშავება შვიდწლედის წლებში დაიწყო. თვითეული მათგანი ორ-სამჯერ მეტ მანგანუმს იძლევა, ვიდრე რომელიმე ძველი მაღარო. მადნის გადასამუშავებლად აშენდა ცენტრალური დასამუშავებელი და ორი გამამდიდრებელი ფაბრიკა. თვითეულ მათგანს მართავს ერთი კაცი სადისპეტჩერო პულტიდან.

სისხლსავსე და შინაარსიანია ჰიათურის ცხოვრება. ქართველ მაღაროელთა ქალაქი გულდაჯერებით მიდის წინ მომავლისაკენ.

კარგი საჩუქარი მიიღეს მარგანეცის ქალაქის მშრომელებმა. ტრესტ „ჰიათურმარგანეცის“ მუშათა მომარაგების განყოფილებამ ქალაქის ცენტრში, ნინოშვილის ქუჩაზე გახსნა კაფე-სასაუზმე.

კაფეში დადგმულია ახალი ავეჯი. შესრულებულია ძველებური იმერული ხალხური ნიმუშების მიხედვით. დარბაზს ამშვენებს მხატვარ ზ. წერეთლის ფერწერული ტილო „ცხენოსნური ლაშქრული“.



სურათზე: ახალი კაფე-სასაუზმე ქალაქ ჰიათურაში.



მსახიობი

იღიმება,

— მხოლოდ ამ დღეებში, კინოფესტივალზე ჩვენი სურათის „ჯარისკაცის მამის“ ჩვენების შემდეგ შევიტყე, რომ ჩემი დღენი საკუთარ თავსაც ვატკუებდი და სხვებსაც, — მეუბნება ცნობილი საბჭოთა მსახიობი სერგო ზაქარიაძე. თვალებში სიცილის სხივი ჩასდგომია, ეშმაკურად იღიმება და განაგრძობს:

— ჩემი დღენი ვფიქრობდი, საწლვარგარეთ ნათესავები არა მყავს-მეთქი. ჩემი დღენი ვარწმუნებდი ამაში ჩემს მეგობრებსა და ნაცნობებს. და უეცრად კრემლის ყრილობათა სასახლის ფოიეში ჩემთან მოდის მექსიკელი კინორეჟისორი და მეუბნება:

— ბატონო ზაქარიაძე! ვნახე თქვენი სურათი. ნება მიბოძეთ მამა გიწოდოთ!

ვერ მოვასწარი შვილი მეპოვნა მექსიკაში, რომ ჩემთან მოვიდა ფესტივალის პოლონელი დელეგატი:

— ამხანაგო ზაქარიაძე, თქვენი თვალები ძალიან მაგონებს მამაჩემის თვალებს...

საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი მხიარულად იცინის:

— ახლა ბევრი ნათესავი მყავს არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ შორს მის ფარგლებს გარეთაც.

მსახიობს მოძრავი და ძლიერ გამომეტყველი სახე სერიოზული უხდება. მცირე დაფიქრების შემდეგ იგი, თითქოს თავის თავს უგდებს ყურსო, განაგრძობს:

— რა თქმა უნდა, ძალიან მახარებს, რომ სურათში ჩემ მიერ შექმნილი სახე მსჯელობის ობიექტი გახდა მოსკოვის კინოფესტივალზე. და ყველაზე უცნაური ის არის, რომ, მიუხედავად თავისი ეროვნული ხასიათისა, იგი მახლობელი გახდა სხვადასხვა ქვეყნისა და ეროვნების ადამიანთათვის. თუმცა ამაში უცნაური არაფერია. ეს სახე მახლობელია ადამიანებისათვის უწინარეს ყოვლისა ადამიანურობით, თავისი მიწა-წყლისადმი, თავისი სამშობლოსადმი ერთგულებით.

კამათობს,

ერთმა განთქმულმა ამერიკელმა მწერალმა და სცენარისტმა ჯონ უექსლიმ ამას წინათ თავის ინტერვიუში თქვა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ბევრს საბჭოთა კინო მიაჩნია ერთ-ერთ საუკეთესოდ მსოფლიოში იტალიურ და ინგლისურ კინოსთან ერთად. „თქვენ ადამიანური განცდები გამოგიდით. ჩვენი ფილმები კი ცდილობენ შეცვალონ ისინი „სალარო-ამაღალვებელი ისტორიებით“.

მაგრამ უექსლის არ განუმარტავს, რით აიხსნება საბჭოთა ფილმების ასეთი ადამიანურობა და სიწმინდე. მის ნაცვლად ეს სერგო ზაქარიაძემ გააკეთა.

— ადამიანი იქცევა ადამიანად ამ სიტყვის სრული აზრით მხოლოდ მაშინ, როცა მას ამოქმედებს თავისი სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობა. სწორედ ეს სიყვარული აძლევს ადამიანს სიცოცხლის იმპულსს. და ყველაზე დიდ ბედნიერებას ადამიანი პოულობს მაშინ, როცა რამეს აკეთებს თავისი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ხშირად მითამაშია ადამიანები, რომლებიც თავსა სწირავენ სამშობლოს. ხშირად მითამაშია სამშობლოს გამყიდველი და მოღალატე ადამიანები. ბევრი მეკითხებოდა, როგორ მოახერხე ასე მკაფიოდ შეგესრულებინა როლი მოღალატე შადიმან ბარათაშვილისა ფილმ „გიორგი საკაძეშიო“ (ამ როლის შექმნისათვის სერგო ზაქარიაძეს სახელმწიფო პრემია მიენიჭა). ვფიქრობ, რომ ამ სახის შექმნაში ჩემი მშვენიერი სამშობლოსადმი სიყვარული დამეხმარა. უკანასკნელ სურათ „ჯარისკაცის მამაშიც“ დამეხმარა ის, რომ მე ვცხოვრობდი მისი ფიქრებით, ის კი ჩემი ფიქრებით, მე მის სიტყვებს ვამბობდი, ის კი — ჩემსას.

მსახიობი დაფიქრდა.

გამოთხოვებისას დიდი წარმატება მივულოცე სერგო ზაქარიაძეს.

... მოსკოვის IV კინოფესტივალის დახურვის საზეიმო ცერემონიაზე სსრ კავშირის სახალხო არტისტ სერგო ზაქარიაძეს გადაეცა პრემია მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის ფილმ „ჯარისკაცის მამაში“.

გ. ტომინი.

ფიქრობს

* ეს მასალა მთლიანად გადმობეჭდილია გაზეთ „გოლოს როდინის“ ყოველთვიური დამატებიდან — „ოტჩიზნადან“. — რედ.



სურათზე: კადრი ფილმიდან „ჯარისკაცის მამა“.

საიუბილეო სეზონი

მეორმოცე სეზონი გახსნა საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურმა ორკესტრმა. თავის საიუბილეო წელს რესპუბლიკის ეს ერთ-ერთი პოპულარული კოლექტივი მრავალფეროვანი საკონცერტო პროგრამით ხვდება.

აი რა უამბო „სამშობლოს ხმის“ კორესპონდენტს ორკესტრის მთავარმა დირიჟორმა და სამხატვრო ხელმძღვანელმა, რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ზ. ხუროძემ.

— რა არის ახალი ჩვენს ორკესტრში? იგი „გაახალგაზრდავდა“ შემსრულებლებით, რომელთა შორის ბევრი ტყუილებია.

წლევანდელი სეზონის რეპერტუარში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებს. ეს არის ა. მაჭავარიანის, ო. თაქთაქიშვილის, ა. ბალანჩივაძის, ს. ნასიძის, ო. გორდელის სიმფონიები, მ. მშველიძის სიმფონიური პოემა „ზვიადაური“. ორკესტრი მოიელის ა. მაჭავარიანის, შ. მშველიძის, დ. თორაძის ახალ სიმფონიებს, ს. ცინცაძის კონცერტს ვიოლონჩელოსათვის, ა. ჩიმაკაძის დრამატულ ლეგენდას „ვეფხისტყაოსანს“.

ორკესტრი შეასრულებს შოსტაკოვიჩის მეშვიდე სიმფონიას, პროკოფიევის მეხუთე და მეშვიდე სიმფონიებს. რუსული კლასიკური მუსიკიდან წარმოდგენილია ჩაიკოვსკის მეექვსე სიმფონია და უვერტიურა-ფანტაზია. დასავლეთ ევროპის მუსიკიდან — ბეთჰოვენის მესამე და მეოთხე სიმფონიები, ბრამსის მესამე და მეოთხე სიმფონიები, ორფის „კარმინა ბურანა“, რაველის „ბოლერო“, რიხარდ შტრაუსის „დონ-ჟუანი“ და სხვ. თბილისში პირველად შეასრულებენ ვერდის „რეკვიემს“.

სიმფონიურმა ორკესტრმა კონცერტები გამართა მოსკოვში, ლენინგრადში, უკრაინის, ყირიმის, ციმბირის, ვოლგისპირეთის, ჩრდილოეთის ქალაქებში. წელს იგი გასტროლებზე იყო ჩვენი რესპუბლიკის კურორტებზე. ამ შესანიშნავ ტრადიციას ორკესტრი კვლავაც განაგრძობს.

ახალ სეზონში კონცერტებში მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა და უცხოელი მუსიკოსები, ქართველი შემსრულებლები მ. ბდივანი, ე. ვირსალაძე, მ. იაშვილი, ლ. ისაკაძე, ნ. გაბუნია, თ. ამირეჯიბი, ა. ნიჟარაძე.

სიმფონიური ორკესტრის გეგმაშია კონცერტი თბილისის ს. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელ ქარხანაში.

სეზონის გახსნის დღეს თბილისში პირველად შესრულდა მალერის პირველი სიმფონია, აგრეთვე ს. ნასიძის მეორე საფორტეპიანო კონცერტი.

ალაგნის აჩხი

ვისაც ციგომბორის ქედიდან ერთხელ მაინც გადაუხედავს კახეთისათვის, დაინახავდა ბაღ-ვენახებში ჩაყუჟულ, თითქოს ოდნავ დაორთქლილ სანახებს. დაბლა ჭალებში გაშლილია ველი და ტყის ზოლი ალაზნის პირებს ჩასდევს, იგი ალაგ-ალაგ მთლად ფარავს მის ვერცხლისფერ ჭამარს. წყალგაღმით კვლავ ბაღ-ვენახებია და მის ზევით კი, დიდებული კავკასიონი.

აი, ეს არის შიგაკახეთი. იგი ყოველთვის იყო საქართველოს ბეღელი. მისი ნოყიერი მიწა, საქართველოს მცხუნვარე მზე და გეოგრაფიული ადგილმდებარეობა აძლევდა ამ უპირატესობას. იგი მოქცეულია კავკასიონის და ციგომბორის მთებს შორის, ამდენად, მტკიცედ დაცულია ჩრდილოეთიდან ცივი ჰაერის შემოჭრისაგან. თვით კახეთი კი სწორედ ამ ორი მთაგრეხილის კალთებზე, მდინარის გაღმა-გამოღმა არის გადაშლილი, სწორედ ამიტომ არის ის ბაღისა და ვენახის, მარცვლოვანი და ეთერზეთოვანი კულტურების ოქროს ფონდი რესპუბლიკაში.

ვის არ უნახავს ზღაპრულად მსხმოიარე ზვრები წინანდალში და ნაფარეულში, მუკუზანსა და ველისციხეში, კარდანახსა და ყვარელში, ახმეტასა და გურჯაანში. მაგრამ ბევრის მომსწრეებს ისიც უნახავთ, როგორ დაიყარა ვაზმა ყვავილი, როგორ გამოინასკვა მისგან მტევნები, როგორ ციმციმებდნენ ისინი დილის ნამზე, როგორი სიხარულით ივსებოდა გლეხკაცის გული. მაგრამ აჰა, ჩამოწვა ივნისისა და ივლისის სიცხე, წვეთი წვიმა არ აღირსა „ღმერთმა“ კახეთს. კავკასიონზე შეიყრებოდა ღრუბელი, წინ წამოყრილდა, თითქოს შეჰკრავდა ერთ მუშტად, წვიმის მაგივრად სეტყვა გადაუვლიდა ზოლ-ზოლად ზვრებს, ჩარეგვავდა, გასხეპდა ვაზებს, გადაიქუხებდა და ეს იყო და ეს.

თვალდათვალ ჭკნებოდა მტევანი, ხელდახელ ხმებოდა ვაზი. „წყალი“! — იძახდა სიცხისაგან დამსკდარი მიწა, „წყალი“! — ზმუოდა საქონელი, „წყალი!“ — ითხოვდა ბაღ-ბოსტანი, „წყალი!“ — ჩურჩულებდნენ ვაზის უიმედოდ ყურებჩამყრილი ფოთლები. და იწყებოდა „ხევის ხვნა“, „წმიდა ელიას“ ლოცვა, ალილუიაზე სიარული, მაგრამ შეუბრალებელი იყო ბუნება. ცდებოდა მთელი წლის ნამუშევარი, ყანა თვალს ვერ იდგამდა, ბზედ მიდიოდა საშემოდგომო ნათესი, იხრუკებოდა ბაღ-ბოსტანი, ეს იმ დროს, როცა წვიმიან წლებში ვეღარსად ტევდნენ მოსავლის, გოდრები გოდრებს მოსდევდა, ღვინო კი დუღდა და გადმოდუღდა.

ამიტომ, ისტორიულ წარსულშივე კახეთის ვენახებისა და ღვინოების ბედი სარწყავ-საირიგაციო სისტემასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული. ცნობილია, რომ ალავერდიდან ერთი კილომეტრის დაშორებით, სოფ. ალვანის პირდაპირ იწყებოდა თამარ მეფის დროინდელი ალაზნის სარწყავი არხი, რომლის სიგრძე 119 კილომეტრს უდრიდა. იგი ერთ დროს 53.000 ჰექტარ მიწას რწყავდა ალაზნის მარტო მარჯვენა ნაპირზე. ის სათავეში 24 კუბომეტრამდე წყალს იღებდა წამში.

ცნობილია აგრეთვე გრემის უძველესი სარწყავი არხი, რომლის სიგრძეც რამდენიმე კილომეტრს უდრიდა. მაგრამ შაჰ-აბასის უწყალო ხელმა მოაოხრა ქალაქი გრემი და მისი ყველა ნაგებობა.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს განახლდა კახეთის ნაყოფიერი მიწების მორწყვის საქმე. იგიო ქვემო ალაზნის არხი, შემდგომ — სამგორისა.

შიგაკახეთის მორწყვისათვის ჯერ კიდევ ათეული წლის წინათ დაიწყეს მუშაობა გამოჩენილმა ქართველმა ინჟინრებმა ივ. გაბუნიამ, ი. ბუაჩიძემ, პ. ჯორჯაძემ და სხვებმა. შედგა მრავალმკვარი სქემები, ვარაუდები. გასული წელს კი საქართველოს წყალთა მეურნეობის სპეციალური საპროექტო ინსტიტუტმა საბოლოოდ შეასხა ხორცი ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის პროექტს, რომელიც ყველაზე დიდი საქართველოში.

სარწყავი სისტემა რა გინდ დიდი ან პატარა იყოს, საჭიროებს სათავე ნაგებობას ანუ წყალმიმღებს. წყლის აღება შეიძლება ტბიდან, მდინარიდან, უმრავლეს შემთხვევაში სარწყავი სისტემისათვის წყლის აღება მდინარიდან ხდება, რისთვისაც საჭიროა მდინარის მთლიანად ან ნაწილობრივ გადაკეტვა, გადახიდვა, ეს იმის მიხედვით — მდინარის ხარჯის რა ნაწილი გვჭირდება არხში ჩასაგდებად და მოსარწყავად.

ზემო ალაზნის არხის სათავე პანკისის ხეობაში, სოფ. დუისთან ეწყობა, იქ, სადაც მდინარე ალაზანი ჯერ კიდევ კისრის ტეხით ეშვება თავქვე. რკინაბეტონის კაშხალი შეაგუებებს მას, მიმართულებას შეუცვლის არხისაკენ, მაგისტრალური არხის ზედა განი 12 მეტრამდე იქნება, სიღრმე 30 მეტრი, წუთში 24 კუბომეტრ წყალს გაატარებს, გაჰყვება პანკისის ხეობის მარჯვენა ფერდობს, გადაჭრის მდინარე იღტოს და გავა ალაზნის ველზე. მისი საერთო სიგრძე 107 კმ იქნება.

არხის მშენებლობა ორ რიგად ჩატარდება. პირველი რიგი ითვალისწინებს მაგისტრალური არხისა და გამანაწილებელი არხების მშენებლობას ფაფრის ხევამდე, სულ 78 კმ სიგრძეზე, რაც შიგაკახეთში (ახმეტა, თელავი, გურჯაანი, სიღნაღი) 41 ათას ჰექტარ ბაღ-ვენახებს და ყანებს მორწყავს. ეს მშენებლობა 1970 წლამდე უნდა დამთავრდეს.

მეორე რიგის მშენებლობის დროს ფაფრის ხევამდე მოსული მაგისტრალური არხი მოუხვევს მარჯვნივ, მშენებლები ციგომბორის ქედს გასჭრიან გვირაბებით, რომელთა საერთო სიგრძე 15 კმ-მდე იქნება. სოფ. არაშენდასთან გამოსული წყალი მაგისტრალური არხით მდინარე ივრის ფერდობიან ველს გაჰყვება, ნაომარს შვიდკილომეტრიანი გვირაბით გადასჭრის და გავა ოლეს ველზე, აქ აიგება წყალსაცავი, რომელიც 200 მილიონ კუბომეტრ წყალს დაიტევს.

გარდა ამისა, ზემო ალაზნის არხიდათვის ბევრი რამ გაითვალისწინეს დამპროექტებლებმა. მაგალითად, პანკისის ხეობაში, სადაც არხის სათავე ნაგებობაა დაპროექტებული, მდინარე ალაზანი ჯერ კიდევ პატარა მოედინება, ის ამ გზაზე ძირითადად ბორბალოს მთიდან და მის კალთებიდან ჩამონაყარი წყლებით იკვებება, ჯერ კიდევ არა აქვს მძლავრი შენაკადები, ამიტომ ინჟინრებმა გადაწყვიტეს მდ. იღტოს წყალიც მიაწვდინონ მას. ამ მიზნით იღტოზე აიგება სათავე და ეს მდინარეც თავის წვლილს შეიტანს კახეთის მიწების მორწყვაში.


მეტად რთულ ტოპოგრაფიულ პირობებში გადის მაგისტრალური არხი. გარდა ამისა, ის პირდაპირ კახეთის სოფლებზე გაივლის. მას გზაზე 47 ხიდის, 19 ღვარსაშვების, ოცდაათამდე დიუკერის (ჰიდროტექნიკური ნაგებობაა ხევებზე წყლის გადასატარებლად), 25 გალერიის (ეს დახვრული ტიპის წყალგამყვანია. იხმარება იქ, სადაც ღია არხით წყლის გადაყვანა შეუძლებელია) და 7 გვირაბის გაყვანა სჭირდება. გამოცდილი დამპროექტებელი ინჟინრები აგეგმარებდნენ მას. საქართველოს წყალთა მეურნეობის მინისტროს საპროექტო ინსტიტუტის მიერ დაგეგმარებულია სამგორი და თეზი-ოყამი, თელეთი და ქვემო ალაზნის არხი, მცხეთისა და ლუისი-გრაკალის სარწყავი სისტემები და მრავალი სხვა.

ზემო ალაზნის არხის პროექტის მთავარი ინჟინერი გიორგი ბაგრატის-ძე მიქელაძეა. ის ოც წელზე მეტია, რაც ამ საქმეს ემსახურება. თავის დროზე საქ. ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის ინსტიტუტში მუშაობდა, აპროექტებდა და ლაბორატორიულად იკვლევდა ჰიდროტექნიკურ ნაგებობებს. ის ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატია.

დამპროექტებელთა ჯგუფში ბევრი საშუალო და ახალგაზრდა თაობის ინჟინერია. ესენია: მიხეილ კიკოშვილი, მერაბ ბერელაშვილი, რობერტ ურჯუმელაშვილი, ნანა ახალაცი; არიან სულ ახალგაზრდებიც: საქ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის ახალკურსდამთავრებულები — გურამ ჩხეიძე, ლია სოხაძე, ლ. წულუკიძე და სხვები. უკვე შეიქმნა სამშენებლო ორგანიზაცია „ალაზანმშენი“, რომელსაც ინჟინერი გურამ მამაცაშვილი უდგას სათავეში.

როგორც ამბობენ, თავის დროზე, მეთორმეტე საუკუნეში, ალაზნის დიდი არხი ხალხის ერთიანი ძალით აიგო. თითქოს მეორდება ისტორია: დაახლოებით ამ ადგილებშია ეს ახალი არხიც. სათავე ზევითაა, მაგრამ ილტოს წყალი დაახლოებით აქ მიემატება არხის კალაპოტს. ახლაც სახალხო მშენებლობად ცხადდება იგი. აბა, ვის მოუთმენს გული, ერთი ბარი მაინც არ დაჰკრას დიდ ალაზნის არხზე, ვის არ უნდა ყურძნის მოსავლის ერთი-ორად გაზრდა კახეთის ზვრებში, ვის არ უნდა ნახოს ხეხილის ახალი ბაღები, ბროწეული, კომში და შავკლიავი, დაფნა და ყაზანლიყის ვარდი! აბა რა სჯობია ულიანოვკისა და წითელწყაროს პურის დახორბლილ ძნებს, მკლავის სიმსხო სიმინდის ტაროებს, ჯიქანსასვსე ალაზნის ფურებს და კუდცხიმიან ქართულ ცხვრის ფარას.

იდიდოს ქართველი მშრომელის მარჯვენამ, რომელიც აგებს და კვლავაც ააგებს უდიდეს არხებს და წყალსაცავებს, აშრავლებს ერის ბარაქას და საუკეთესო ტრადიციებს დაუტოვებს შვილსა და შვილიშვილებს.



მაღანი... ზეციდან

მაღლა მთაში განმარტოებით დგას პატარა სახლი. ეს რაჭის სამთომეტალურგიული კომბინატის მაღაროელთა სახლია.

ზაფხულშიც კი მაღაროელთა საერთო საცხოვრებლის ორთქლის გათბობის ბატარეები ცხელია ხოლმე. აქ ზღვის დონიდან 2500 მეტრზე ზაფხულის ცნება შედარებითია. მაგალითად. აგვისტოში თავისუფალ დროს მაღაროელები თხილამურებით ეყრდნობიან ერთმანეთს.

...მთები ხალისით როდი გვიზიარებენ თავიანთი წიაღის საიდუმლოებას. სამოციოდე წლის წინათ მონადირე მიხა რეხვიაშვილს ყურადღება მიიპყრო უჩვეულო ყვითელმა ქვამ. „ოქროა“, — გადაწყვიტა მან და თუმცა ეს ოქრო არ იყო, მდინარე ლოხუმის ხეობაში ნაპოვნი ქვა ოქროზე ნაკლებ ძვირფასი როდია. რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე პირველად აღმოჩნდა დარიშხანის მადანი.

ახლა კი გამოარკვიეს, რომ დარიშხანი რაჭის მთების ერთადერთი სიმდიდრე როდი ყოფილა, ძველმა გეოლოგმა ილია ლაგვილავამ გამოიკვლია მიტოვებული შტოლნები და აღმოაჩინა პირიტისა და ქალკოპირიტის დანალექები. ეს მინერალები შეიცავენ სპილენძსაც და რკინასაც.

მაღაროელები წელწადში ხუთი თვის განმავლობაში იღებენ მადანს, რომელიც თვითმცლელებს მიაქვთ კომბინატში. გამოწვის საამქროს ეზოში კი იზრდება რუხი მთა.

ეს მარადი სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ საწარმომ შეუფერხებლად იმუშაოს მთელი წლის მანძილზე, — გვითხრა რაჭის სამთომეტალურგიული კომბინატის დირექტორმა ლევან გელოვანმა. მართალია, დარიშხანის შემცველი პრეპარატების ოცი დასახელების აბები, რომლებსაც ჩვენ ვუშვებთ, გრამზე ბევრად ნაკლებს იწონიან, მაგრამ ამ აბებს ტონობით ვაწარმოებთ. ჩვენი პროდუქცია სჭირდებათ მედიკებს, ვეტერინარებს, მეტალურგებს, ფიზიკოსებს, ქიმიკოსებს.

წლიდან წლისკენ კედელზე გაკრულია ცხრილი. საამქროს ჟურნალის მოადგილე, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ტყიბულის ფილიალის სამთო ფაკულტეტის სტუდენტი რევაზ ბეშიძე ყოველდღე წერს ცხრილში ციფრებს — მაღაროელთა მუშაობის მაჩვენებლებს. ბრიგადირების გ. ლობჟანიძისა და ზ. ჩალაძის გვარების პირდაპირ ციფრები 130-ზე ნაკლებს არ უჩვენებენ. ეს გეგმის შესრულების პროცენტია.

იქვე გაკრულია მეორე ცხრილი, ცოტა მომცრო. ამ ცხრილს რადიომიმღებთან 90 წუთის ჯდომის შემდეგ ფანქრით ხელში მიუახლოვდება ხოლმე ფეხბურთის დიდი მოყვარული ვაჟა მიქიაშვილი..

მაღაროელთა მამაცი კოლექტივის ცხოვრებისა და შრომის თვითეული შტრიხი გვარწმუნებს, რომ ეს კოლექტივი ცხოვრობს ჩვენი სამშობლოს ცხოვრებით, სამშობლოსი, რომლისთვისაც ამ ძვირფას ნედლეულს იღებს მიწის წიაღიდან.

ლაქსნესი და საქართველო

მოკლე ხანში ქართულ ენაზე გამოვა ნობელისა და მშვიდობის პრემიების ლაურეატის, თანამედროვე მსოფლიოს ერთი უდიდესი მწერლის ჰალდორ ლაქსნესის რომან-ტრილოგია — „ისლანდიის ზარი“. თარგმანი შეასრულა აკაკი გელოვანმა, რომელსაც მიწერ-მოწერა აქვს ლაქსნესთან.

ახლახან ქართველმა მწერალმა და მთარგმნელმა ისლანდიიდან მიიღო ლაქსნესის წინასიტყვაობა ქართული გამოცემისათვის, რაც ავტორმა მისივე თხოვნით დაწერა. ამ საყურადღებო ლიტერატურულ დოკუმენტში ლაქსნესი სხვათა შორის წერს: „ჩემს ძვირფას ქართველ მკითხველებს: წარმოიდგინეთ ჩემი სიხარული და გაოცება, როდესაც თბილისიდან ჩემი რომანის მთარგმნელმა, მეგობარმა მწერალმა გელოვანმა ერთ-ერთი წერილით მაცნობა, რომ საქართველოს გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“ ჩემს რომანს „ისლანდიის ზარს“ ბეჭდავს ოცდახუთი ათასი ტირაჟით, ეს მაშინ, როცა სხვა „პატარა“ ქვეყნებში — დანიაში, ნორვეგიაში, ჰოლანდიაში და ბელგიაში ჩემს წიგნებს 1500-დან 2000 ცალად ბეჭდავენ, და დიდ ქვეყნებშიც — ამერიკის შეერთებულ შტატებში, საფრანგეთში, ინდოეთსა და ჩინეთში ჩემი წიგნი მხოლოდ მცირე ტირაჟით გამოდის... ახლა, როცა გავიგე, რომ ჩემი წიგნი ასეთი მაღალი ტირაჟით უნდა გავრცელდეს ესოდენ მაღალი კულტურის ქვეყანაში, საქართველოში, კმაყოფილების გამოსახატავად სიტყვა ვერ მიპოვნია. დღეს ისეთ გუნებაზე ვარ, რომ მინდა მთელი საქართველო მყავდეს სახლში სტუმრად...“.

ლაქსნესი იმედს გამოთქვამს, რომ ქართველი მკითხველი შეიყვარებს მის წიგნს, „რომლის გამოცემა ასეთი ტირაჟით წარმოადგენს საბჭოთა მთავრობის ერთ-ერთ დიდ ღონისძიებას“. შემდეგ მხცოვანი ისლანდიელი დიდოსტატი ლაპარაკობს თავის რომანზე, ისლანდიის ხალხურ თქმულებებზე და კერძოდ „ნიალის საგაზე“, რომელსაც მთელი თავისი სიდიადის მიუხედავად დღემდე ჯეროვნად არ იცნობს მსოფლიო. „ამ ნაწარმოების ბედი ძალიან ჰგავს თქვენი ქართული ეროვნული ეპოსის „ვეფხისტყაოსნის“ ბედს“, — წერს ლაქსნესი.

ლაქსნესის რომანის ქართულად გამოცემა, თვითონ ქართველი მთარგმნელის შიმოწერა ავტორთან და ამ უკანასკნელის მგზნებარე გამოხმაურება ამ მოვლენადმი ხალხთა მეგობრობის ერთ-ერთი მორიგი საყურადღებო აქტია, შედეგია ჩვენი ქვეყნის შეუნელებელი ზრუნვისა კულტურული ურთიერთობის განმტკიცებისათვის უცხოეთის ქვეყნებთან.

დიდების ძეგლები

კავკასიონის მთებში, ფსიაშხუსა და აიშხოს უღელტეხილებთან, სადაც სამთო მსროლელთა მეოცე დივიზიის მამაცმა მეომრებმა შავი ზღვის ნაპირებისაკენ მიმავალი გზა ჩაუკეტეს გერმანელ დამპყრობლებს, აღიმართა აქ დაღუპულ მებრძოლთა ძეგლები.

თანამებრძოლებს საკუთარი ესკიზითა და საკუთარი სახსრებით დაუდგეს ძეგლები კავკასიონის დაცვის მონაწილეებმა. მათ უღელტეხილზე აიტანეს თუჯის დაფა, რომელზეც აწერია: „აქ 1942-43 წლებში გმირულად იბრძოდნენ საბჭოთა არმიის მეომრები, რომლებმაც შავიზღვისპირეთისაკენ მიმავალი გზა გადაუკეტეს გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს“.

კავკასიონის მთებში სამხედრო დიდების ძეგლებთან ყოველ გაზაფხულზე მოვლენ ისინი, ვინც სამამულო ომის წლებში მტერს ებრძოდა აქ. ასე გადაწყვიტეს სამთო მსროლელთა დივიზიის ყოფილმა მებრძოლებმა ტრადიციულ შეხვედრაზე.

გამოქვაბულის საიდუმლოება

სოხუმი. ამ გამოქვაბულთან მონადირეებს ზამთრის ღამეებში არაერთხელ გაუგონიათ მგლის გამმული ყმუილი, თუ დათვის ღრიალი. ცნობილმა მონადირეებმაც კი ვერ მოახერხეს გამოქვაბულში შესვლა. შესასვლელი დარბაზი, რომელიც ციცაბო და ბნელი ჭით მთავრდებოდა, მიუვალი იყო. ამ ადგილთან ახლომდებარე სოფლის ფსხუს მცხოვრებლები ვარაუდობდნენ, რომ ეს გამოქვაბული თავისებური ხაფანგია გარეული მხეცებისათვის.

და აი ამას წინათ სოხუმის ტურიზმის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სპელეოლოგებმა დაადასტურეს სოფლელთა ვარაუდი. ჭაში ჩავიდნენ მკვლევარნი და მათ თვალწინ გადაიშალა მხეცების მრავალსაუკუნოვანი სასაფლაო. მიწის წიაღისაკენ ციცაბოდ მიმავალი ჭის ფსკერი, რომლის სიღრმე თხუთმეტ მეტრს აღწევდა, სავსე იყო დაღუპული მტაცებლების ძვლებით. ზოგიერთ ადგილას კირითა და ბარიტით დაფარული ძვლების მთელი ზვინები ეყარა. მათ შორის მოჩანდა დიდი ხნის წინათ გადაშენებული, გამოქვაბულის დათვის უშვებიანი ყბები.

განსაკუთრებით საინტერესოა აქ ნაპოვნი ადამიანის ჩვივის ძვალი. ვინ იცის, როგორ ტრაგიკულად დაიღუპა შორეულ ქვის ხანაში ამ ბუნებრივ ხაფანგში ეს ადამიანი.

სპორტული მიმოხილვა

საჭადრაკო გვირგვინი კვლავ ნონას უპყრია

ო. ფხაკაძე უძლიერესია ქიუ - დოისტთა

ჩემპიონატი პირველი საერთაშორისო ფეხბურთი

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ვიუწყებოდით, რომ მატჩის ანგარიში მსოფლიოს პირველობაზე ჭადრაკში ქალთა შორის ნ. გაფრინდაშვილსა და ა. კუშნირს შორის 6:2 იყო ქართველი მოჭადრაკის სასარგებლოდ. დიახ, მატჩის ბედი ფაქტიურად გადაწყვეტილი იყო და ვფიქრობდით, რომ დარჩენილ 8 შეხვედრაში მსოფლიოს ჩემპიონი სწრაფად დააგროვებდა საჭირო ორ ქულას.

მეცხრე პარტია. თეთრებით ა. კუშნირი თამაშობს. მსოფლიოს ჩემპიონმა პირველად ამ მატჩში გამოიყენა გრიუნფელდის დაცვა. პარტია მშვიდად მიმდინარეობდა და ეტლების სრულიად თანაბარ ენდშპილში პრეტენდენტმა წინადადებით მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ. ანგარიში გახდა 6,5:2,5. პრეტენდენტის მწვრთნელმა ბ. პერსიცმა მეცხრე პარტიის დამთავრების შემდეგ იხუმრა: „ჩვენ უკვე გავუსწარით ე. ბოკოვას“ (მას მხედველობაში ჰქონდა ის, რომ 1962 წელს, როდესაც ნონამ მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა, ე. ბიკოვას მატჩი ანგარიშით 9:2 მოუგო).

მეათე პარტია. თეთრებით ნ. გაფრინდაშვილი თამაშობს. პრეტენდენტმა სიცილიურ დაცვას მიმართა, რომელიც უკომპრომისოა. ეს ბუნებრივიც იყო. მას ხომ უკან დასახევი გზა აღარ ჰქონდა. ჩემპიონმა პასიურად გაითამაშა დებიუტი და საშუალება მისცა მეტოქეს ხელთ ეგდო ინიციატივა. პრეტენდენტი ზუსტად და თანმიმდევრულად თამაშობდა. პარტია გადაიდო, მაგრამ იგი აღარ განახლებულა. ნ. გაფრინდაშვილმა თავი დამარცხებულად ცნო. ანგარიში გახდა 6,5:3,5.

მეთერთმეტე პარტია. შავებით მსოფლიოს ჩემპიონი თამაშობს. ნ. გაფრინდაშვილმა პირველად ამ მატჩში გამოიყენა ინდური დაცვის ერთ-ერთი ვარიანტი. ა. კუშნირი როგორც ჩანს, არ მოელოდა ამ დასაწყისს და თავიდანვე უარესი პოზიცია მიიღო. ქართველი მოჭადრაკე მეთოდურად აძლიერებდა მუქარებს. პარტია გადაიდო, მაგრამ მისი ბედი ეჭვს არ იწვევდა. მეორე დღეს მეტოქეები მაინც მიუსხდნენ საჭადრაკო მაგიდას. თავისი უპირატესობის რეალიზაციისათვის ნ. გაფრინდაშვილს მხოლოდ 10 სვლის გაკეთება დასჭირდა. პრეტენდენტმა მას გამარჯვება მიულოცა. ანგარიში გახდა 7,5:3,5.

მეთორმეტე პარტია. თეთრებით მსოფლიოს ჩემპიონია. სიცილიური დაცვა. ნ. გაფრინდაშვილს ერთი დარტყმით უნდოდა დაემთავრებინა მატჩი და აქტიურად შეუტია მეტოქეს. პოზიციაც უკეთესი მიიღო. გამარჯვებისაკენ მას ორი გზა ჰქონდა, მაგრამ მესამე აირჩია, ერთი შეხედვით უფრო სწრაფი. მას უნდოდა რადაც არ უნდა დაჯდომოდა საშამათო ქსელში მოეტყუა მეტოქის მეფე. ერთ-ერთ მომენტში მას მხედველობიდან გამორჩა ა. კუშნირის კონტრმუქარა. პარტია გადაიდო უაღრესად რთულ პოზიციაში. ანალიზმა ცხადყო, რომ თუ პრეტენდენტს უძლიერესი სვლა ჰქონდა ჩაწერილი, იგი მოიგებდა პარტიას, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ყაიმისათვის უნდა ებრძოლა. მეორე დღეს პარტია განახლდა. ა. კუშნირს სწორედ ის ერთადერთი სვლა ჰქონდა ჩაწერილი, რომელსაც მოგებისაკენ მიჰყავდათ შავები. ნ. გაფრინდაშვილი დამარცხდა. ანგარიში გახდა 7,5:4,5.

მეცამეტე პარტია. თეთრებით პრეტენდენტი თამაშობს. უკვე შეამჩნევდით, რომ მსოფლიოს ჩემპიონს შავებით უფრო ეხერხებოდა თამაში ამ მატჩში. ახლაც ასე მოხდა. ეს პარტია უკანასკნელი აღმოჩნდა. უფიმცევის დაცვაში ნ. გაფრინდაშვილმა მეტად ეფექტურად დააგვირგვინა მატჩი და გამანადგურებელი იერიშით გარდუვალი შამათის მუქარა შექმნა. 44-ე სვლაზე პრეტენდენტმა გააჩერა საათი და მსოფლიოს ჩემპიონს დედოფლის გვირგვინის შენარჩუნება მიულოცა.

ამრიგად, მატჩი დამთავრდა ანგარიშით 8,5:4,5 ნონა გაფრინდაშვილის სასარგებლოდ.

მრავალი მისალოცი დეპეშა მოვიდა მსოფლიოს ჩემპიონის სახელზე. სპეციალისტების აზრით ქართველი მოჭადრაკე კვლავ რჩება მსოფლიოს № 1 მოჭადრაკე ქალად, რომელიც კიდევ დიდხანს იქნება გვირგვინის მფლობელი. მით უმეტეს, რომ იგი ჯერ მხოლოდ 24 წლისაა.

ო. ფხაკაძე კვლავ პირველია. უკვე ვიუწყებოდით, რომ მან საკავშირო რეკორდი დაამყარა ერევნის ტრეკზე. აქვე მან პირველი ადგილი დაიკავა სპრინტში და სსრ კავშირის თასი მოიგო. საკავშირო ასპარეზობის შემდეგ ო. ფხაკაძემ საქართველოს პირველობაში მიიღო მონაწილეობა და პირველად გახდა რესპუბლიკის ჩემპიონი.

რიო-დე-ჟანეიროში დამთავრდა მსოფლიოს ჩემპიონატი ძიუ-დოში. საბჭოთა გუნდის შემდგენლობაში იყვნენ ევროპის ამპოლუტური ჩემპიონი ა. კიკნაძე, ევროპის ჩემპიონი ფ. ჩიკვილაძე და ა. ჭიბროწაშვილი. მხოლოდ მსაჯების არაობიექტურობამ დააკარგვინა ქართველ ათლეტებს ბრინჯაოს მედლები და მძიმე წონაში ა. კიკნაძემ და ფ. ჩიკვილაძემ მეოთხე-მეხუთე ადგილები გაიყვეს. ამსოლუტურ წონითს კატეგორიაში ვერცხლის მედალი გორელმა მოჭიდავემ ა. ჭიბროწაშვილმა მოიპოვა.

თბილისში დაიწყო ვაჟთა პირველი საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში. ტურნირში მონაწილეობენ იუგოსლავიის, გდრ-ს, გფრ-ს, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, რუმინეთის, პოლონეთის, სსრ კავშირისა და საქართველოს მოჭადრაკეები. მათ შორის არიან ცნობილი გროსმაისტერები რ. ხოლმოვი, ა. ლილიენტალი, ა. გიპსლისი, მ. დამიანოვიჩი, ვ. პიტჩი და სხვ. საქართველოდან ასპარეზობაში მონაწილეობენ ოსტატები ბ. გურგენიძე, რ. ჯინჯიხაშვილი, ა. ბოკუჩავა და ა. ბუსლაევი, ტურნირზე უკვე გათამაშდა ექვსი ტური. ლიდერთა შორის, სხვებთან ერთად ბ. გურგენიძეა.

ჩვენი ქვეყნის ფეხბურთელთა ნაკრებმა გუნდმა მას შემდეგ, რაც კოპენჰაგენში დამარცხა დანია (3:1) გაიანაღდა ლონდონის საგზური. უკანასკნელი შესარჩევი მატჩის წაგების მიუხედავად უელსთან — 1:2, ჩვენმა გუნდმა უფლება მიიღო მონაწილეობა მიიღოს მსოფლიოს ჩემპიონატში, რომელიც მომავალ წელს გაიმართება ინგლისში.

დანიასთან მატჩში გაზეთები განსაკუთრებით აღნიშნავდნენ თბილისის დინამოელების ს. მეტრეველისა და მ. ხურცილავას დამაჯერებელ თამაშს. ამასთან ს. მეტრეველი პირველი გოლის ავტორიც იყო.

თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები, მიუხედავად იმისა, რომ მათ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი აკლიათ (ნაკრებში დაკავების გამო) ახალგაზრდობა შეყავთ ძირითად შემადგენლობაში. „დინამოში“ ბევრი ახალბედაა. ისინი გვერდს უმშვენებენ გამოცდილთ. ეს ამავე დროს იმაზეც მეტყველებს, რომ დინამოელებს საიმედო ცვლა ჰყავთ.

ამ ორიოდე დღის წინ „დინამომ“ ანგარიშით 5:1 დაამარცხა ჩეხოსლოვაკიის „სპარტაკი“. ეს ამხანაგური საერთაშორისო მატჩი თბილისში გაიმართა.

ო. ლორთქიფანიძე.

შეხვედრა საქართველოში



ფოტოკორესპონდენტმა შ. ჩხეტიანმა ეს სურათი ამ დღეებში გადაიღო ყვარელში.

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე. შუა ევროპის დროით საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი. მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე—50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

სარედაქციო კოლეგია

ჩვენი მისამართი

თბილისი, გ. ათონელის ქ. № 25.